შეტყობინება
ს/ს სარაჯიშვილის აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო
კრების მოწვევის შესახებ

ს/ს სარაჯიშვილი იწვევს თავის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც ჩატარდება 2024 წლის 26 დეკემბრის 14:00 საათზე, საზოგადოების ოფისში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. N:4

დღის წესრიგი

1. ს/ს სარაჯიშვილის წესდებაში ცვლილებების შეტანისა და ამ ცვლილებების მიხედვით კრების ჩატარების თარიღისათვის კონსოლიდირებული წესდების დამტკიცების შესახებ.
   (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ელგუჯა ბუბუტეიშვილი).
2. ს/ს სარაჯიშვილის 2023 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგებების დამტკიცების შესახებ.
   (მომხსენებლი: საზოგადოების ხელმძღვანელი პირი, გენერალური დირექტორი - ზურაბ ბუბუტეიშვილი).
3. ს/ს სარაჯიშვილის წმინდა მოგების დივიდენდებად განაწილების შესახებ.
   (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - თენგიზ ჯაფარიძე).
4. სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შეფასების შესახებ.
   (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - გელა შენგელია).
5. სხვა იურიდიული პირის დაფუძნებასა და წილობრივ მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოზე გადაცემის შესახებ.
   (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - გელა შენგელია).
6. ს/ს სარაჯიშვილის საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსის დაკარგვის შესახებ.
   (მომხსენებლი: ს/ს სარაჯიშვილის ხელმძღვანელი პირი, გენერალური დირექტორი - ზურაბ ბუბუტეიშვილი)
7. სააქციო საზოგადოების აქციათა პაკეტის მფლობელთათვის საზოგადოების დანარჩენ აქციათა გამოსყიდვაზე სატენდერო შეთავაზების ნებართვის გაცემის შესახებ.
   (მომხსენებელი: სამეთალყურეო საბჭოს წევრი - თენგიზ ჯაფარიძე).
8. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ.
   (მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ელგუჯა ბუბუტეიშვილი).

ს/ს სარაჯიშვილის სამეთვალყურეო საბჭომ წლიური (მორიგი) საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დაადგინა 2024 წლის 5 დეკემბერი.

საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ, მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან.

დღის წესრიგის საკითხებზე კენჭისყრა ჩატარდება ღია კენჭისყრის გზით.

სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების პროექტები დღის წესრიგის საკითხებზე და აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო კრებისათვის წარსადგენი სხვა დოკუმენტები გასაცნობად განთავსებული იქნება ს/ს სარაჯიშვილის ვებ გვერდზე www.sarajishvili.com

ს/ს სარაჯიშვილის
ხელმძღვანელი პირი - გენერალური დირექტორი
ზურაბ ბუბუტეიშვილი

---

03 დეკემბერი 2024 წელი.